პროლეტარებო, ერთეულ ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 2 აგვისტო, 1944 წ. № 156 (7099). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.
გაუმარჯოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და იერიშით დაიკავეს ქალაქი და ციხე-სიმაგრე **კაუნასი (კოვნო)** — კომუნიკაციათა ოპერატიულად დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრების მისადგომებს.

კაუნასის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **ჟრილოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **ლიუდნიკოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **მოროზოვის**, გენერალ-მაიორ **კაზარცევის**, გენერალ-მაიორ **პერეკრესტოვის**, გენერალ-მაიორ **პოპლავსკის**, გენერალ-მაიორ **კაზარიანის**, გენერალ-ლეიტენანტ **ბეზუგლის**, გენერალ-მაიორ **პროფეევის**, გენერალ-მაიორ **სამარსკის**, გენერალ-მაიორ **ბლადიშევის**, გენერალ-მაიორ **ლასკინის**, გენერალ-მაიორ **ალექსეენკოს**, პოლკოვნიკ **დონეცის**, პოლკოვნიკ **ფეკოვ-ბოგატირევის**, გენერალ-მაიორ **ბოროდოვიკოვის**, გენერალ-მაიორ **კალინინის**, გენერალ-მაიორ **ბაბაიანის**, პოლკოვნიკ **დრუჟინინის**, პოლკოვნიკ **კრასნოვსკის**, პოლკოვნიკ **კაბიუშინის**, პოლკოვნიკ **ბიბიკოვის**, გენერალ-მაიორ **ძვაშნინის**, პოლკოვნიკ **ბირსტეინის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ბარანოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ფედოროვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **დერეშის**, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ბოდროვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **როშანოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კოროსანოვის**, პოლკოვნიკ **რიაბჩუკის**, პოლკოვნიკ **დოლგოვის**, პოლკოვნიკ **სტარინინის**, პოლკოვნიკ **სკვორცოვის**, პოლკოვნიკ **ჟევნოვის**, პოლკოვნიკ **სედოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ბურდეინის**, პოლკოვნიკ **ბულიგინის**, პოლკოვნიკ **ლოსიკის**, პოლკოვნიკ **ნესტეროვის**, პოდპოლკოვნიკ **ანტიპოვის**, პოლკოვნიკ **დუხოვნის**, პოლკოვნიკ **ბუკოვის**, გენერალ-მაიორ **გრომადინის**, პოლკოვნიკ **სემენიუკის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **მალახოვის**, პოლკოვნიკ **ვახრუშევის**, პოლკოვნიკ **კუტუზოვის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **ხრიუკინის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **სავიცკის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ბლაგოვეშჩენსკის**, პოლკოვნიკ **ზიმინის**, პოლკოვნიკ **ჩუჩევის**, პოლკოვნიკ **ვასილიევის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **მოლოკოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **ანდრეევის**, პოლკოვნიკ **პრუტკოვის**, მაიორ **ოგანეზოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ბარანოვის**, პოლკოვნიკ **ლეიმანის**, პოლკოვნიკ **ლუკაშევიჩის**, პოდპოლკოვნიკ **პოპლავსკის**, მაიორ **მელნიკოვის**, კაპიტან **ლიტვაკის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **პრიხოდაის**, პოდპოლკოვნიკ **შტეინის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პტიცინის**, პოლკოვნიკ **ტკაჩენკოს**, პოლკოვნიკ **არხაროვის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შეწარმოებული და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ და ციხე-სიმაგრე **კაუნასის (კოვნოს)** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**კოვნოს**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 1 აგვისტოს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს კაუნასი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს, ელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კაუნასის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი,

1944 წლის 1 აგვისტო.

საქართველოს მშრომელები შრომითს სალუქს აძლევენ
გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს

დიდი სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების პასუხად სტახანოვურ ვახტზე დამდგარი მუშები დღითიდღე მეტსა და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ ფრონტის დასახმარებლად.

თბილისის საორთქლმავლო დეპოში შემდგარ სახელოსანო მიტინგზე ორასკაციანმა ბრიგადამ ამხ. სანაძემ ვალდებულება იკისრა ო�ეური დავალება 300 პროცენტით შეასრულოს და აგვისტოს პირველსავე დღეს სამი ნორმა გამოიმუშავა. ზეინკალი ამხ. ნიკოლაშვილი სტახანოვურ ვახტზე დადგა და 31 ივლისსა და 1 აგვისტოს დღიური დავალება 350 პროცენტით შეასრულა. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღინიშნეს დიდი მხედართმთავრის დაჯილდოების საზეიმო დღე ამანაგამ ამხ. დანიელოვმა, ხარატმა ამხ. სანაძემ და ზეინკალმა ამხ. ხმიადაშვილმა, რომლებიც ზედიზედ მესამე დღეა დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებენ.

„მკერავის“ № 1 ფაბრიკის კოლექტივი ამ დღეებში განსაკუთრებული ენტუზიაზმით მუშაობს. მოწინავე მუშები დღითიდღე სულ მეტ პროდუქციას უშვებენ. მკერავმა ამხ. ოლქიაშვილმა 31 ივლისს დავალება 300 პროცენტით შეასრულა, ხოლო 1 აგვისტოს საქმიანი ნორმა გამოიმუშავა. ასევე მზარეული ნაყოფიერებით მუშაობს მკერავი ამხ. ჯ. ბურჭულიანი, რომელმაც დიდად გადააჭარბა ვალდებულებას. ნაკისრ ვალდებულებას და 31 ივლისს დავალება 500 პროცენტით გაანაღდა, ხოლო 1 აგვისტოს — 600 პროცენტით. გადამჭრელმა ამხ. ა. მარნიეშვილმა ამხანაგ სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ მეორე დღეს დღიური დავალება 863 პროცენტით შეასრულა, ხოლო 1 აგვისტოს — 870 პროცენტით. ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა 31 ივლისს დღიური დავალება, ხოლო 1 აგვისტოს წინადღეზე 5 პროცენტით მეტი პროდუქცია გამოუშვა.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში სტახანოველებმა ახალი საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს. სალითონო საამქროს მსხმელთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ი. მირზოევმა ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა აგვისტოს გეგმა 800 პროცენტით შეასრულოს. ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დადგა და 31 ივლისს დავალება 845 პროცენტით გაანაღდა. ქარხანამ 31 ივლისს დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა და 25 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ერთსულად მიღებული რეზოლუციით ვალდებულება იკისრა აგვისტოს დავალება გადაჭარბებით შეასრულოს. 31 ივლისს სტახანოვურ ვახტზე დადგნენ ქარხნის 29 მოუნაგი მუშა და ფრონტისა [illegible] იკისრა გეგმის შესრულების [illegible] ორ ნორმა მაჩვენებლებს იძლევიან. მაგალითად, ჯამრთელებელი ამხ. ბაბუშკო ორი დღეა ზედიზედ გეგმას 1,827 პროცენტით ასრულებს, ზეინკალი ამხ. ხალვაში 1,455 პროცენტით, ზეინკალი ამხ. ვ. სარიევი — 1,785 პროცენტით, შემდუღებელი ამხ. ზუმაკი — 1,106 პროცენტით, ზეინკალი ამხ. კულაევი — 1,058 პროცენტით, მცველი ამხ. ჩიმჩიური — 872 პროცენტით, ხარატი ამხ. ვოგიაშვილი — 665 პროცენტით, ზეინკალი ამხ. სიდამონიძე — 575 პროცენტით, ხარატი ამხ. ჯაფუხაძე — 500 პროცენტით, ზეინკალი ამხ. მალაშკო — 999 პროცენტით და ა. შ.

გამუდმებით მატულობს სტახანოვურ ვახტზე დამდგარი მუშების რიცხვი. თბილისის ფაბრიკა-ქარხნების სტახანოველები შრომითი საგმირო საქმეებით სალუქს აძლევენ გენიალურ ხელმძღვანელობას დიდ სტალინს, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს გმირი წითელი არმია.

* * *

ქუთაისი (ტელეფონით). უდიდესი შრომითი აღმავლობაა ქუთაისის საწარმოებში. ომის დროის სტახანოველები ახალი საგმირო საქმეებით აღნიშნავენ გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოებას.

ბავრაძის სახელობის ბრეშუმკომბინატი უკვე მესამე დღეა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს დღიურ დავალებებს. ხარატი ამხ. რობაქიძე ყოველდღე 1000 პროცენტით ასრულებს ნორმას. ვალდებულების გაანაღდებისათვის ასევე წარმატებით იბრძვის ზედალოსანი მქსოველი ამხ. ლ. ახალაძე.

ტყავფეხსაცმლის კომბინატში ამხ. კოკვიძემ ახალგაზრდათა ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა აგვისტოს გეგმა 160 პროცენტით შეასრულოს. მაუდის ფაბრიკის საქსოვი საამქროს კოლექტივი საბრძოლო ვახტზე დადგა და ზეგეგმით პროდუქციას იძლევა. მქსოველმა ამხ. თ. ჩხენკელმა 30 მეტრის ნაცვლად 100-მდე მეტრი ბრეული ხარისხის მაუდის ქსოვილი გამოუშვა.

* * *

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულელ მეშახტეებს შორის უდიდესი სიხარული გამოიწვია ცნობამ ამხანაგ სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ლენინის სახელობის შახტში შემდგარ მიტინგზე სიტყვით ვამოვიდა მოწინავე უბნის უფროსი ამხ. გ. ფანჩულიძე და ცვლის უფროსი ამხ. ი. გაბრიაძე, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს თვიური დავალების 20-25 პროცენტით გადაჭარბონ. მედალოსანმა მნგრეველმა ამხ. ს. ქათამაძემ და მტეორითვალმა ამხ. ნ. მემიაშვილმა პირობა დასდეს ყეგმა შეასრულონ 250-300 პროცენტით.

სტალინის სახელობის შახტში გამართულ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა შახტის ტუროსმა ამხ. ლ. რატიანმა, რომელიც მეშახტეებს მოუწოდა ამხანაგ სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოებას უპასუხონ ქვანახშირის გამოღების გადიდებით. შახტის მედალოსანმა მებრიგემ ამხ. კ. ყიფშიძემ და მედალოსანმა მნგრეველმა ამხ. ნ. ივანიჩენკომ იკისრეს ყოველდღიური დავალება 300 პროცენტით შეასრულონ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
1 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

1 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ **ფსკოვის** დასავლეთით და **სამხრეთ-დასავლეთით** ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბრუროვენკი, შელეხოვა, ბეიასი, იაუნანნა** და რკინიგზის სადგური **ლიტენი.**

ქალაქ **დაუგავპილსის (დვინსკის)** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობენ შეტევის განვითარებას და ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი **ლივანი**, დიდი დასახლებული პუნქტები **დიბნაია, სლოტასი, რუბენი, ასარე, გარსენე, დიფლოდე, როკიშკისი, ეიოგბიშკისი, კანდელისი** და რკინიგზის სადგურები **დიფნაია, როკიშკისი, ფინჯულიანი.**

ქალაქ **იელგავის (მიტავის)** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ლატვიის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი ქალაქი და რკინიგზის სადგური **ეუკუმსი**, ქალაქი და რკინიგზის სადგური **დობელი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ალაკალნი, ჯუკსტე, ბერემუშეა**, და რკინიგზის სადგურები **პრავინუ, სლავეე, ჯუკსტე, ბუდასი, ლიბგერზე, ბრაკეტი.** ამრიგად, ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს ბალტიისპირეთიდან აღმოსავლეთ **პრუსიაში** მიმავალი ყველა გზა.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და იერიშით დაიკავეს **კომუნიკაციათა** ოპერატიულად დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი — ქალაქი და ციხე-სიმაგრე **კაუნასი (კოვნო)**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 800-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ბანისევიჩი, ვეინძიაგოლა, ანტოგინი, ბოგატი, რინუვალიშკი, აზერეხი, იურე, ბოგატა, დიდვიდე, ბიეე, სუნინიკი, ვიდეგალი** და რკინიგზის სადგურები **ოლქსნიანი, ბაჟუცი.**

ქალაქ **ბელსკის** დასავლეთითა და **სამხრეთ-დასავლეთით** ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაში დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **პიატკოვო, ტოკჩევო, გლინიკი, ბრიანსკი, რუდკა, ლეშიეცა, სტადნიკი, დროგიჩინი.**

ქალაქ **სედლეცის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი **კალუშინი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ნივინსკა, ზსმაკი, ჩარნოგოროდი, სენა, ხლუხოცინი, ბროშკი** და რკინიგზის სადგურები **კოშევნიცა, ბროზი.** ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს დამარცხებული გერმანელთა 73-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი **ფრანეკი** მისი შტაბიანად.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მოსხდარა.

31 ივლისს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტებზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 37 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 26 თვითმფრინავი.

* *

ქალაქ **დაუგავპილსის (დვინსკის)** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა შემოუარეს ქალაქ **ლივანს.** შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გერმანელთა გარნიზონი განადგურებულ იქნა. მისმა უბადრუკმა ნაშთებმა თავს უშველეს გაქცევით. ქალაქის მისადგომებზე და ქუჩებში დარჩა ჰიტლერელთა ბრავალი გვამი. სხვა ჩვენი შენაერთის ნაწილებმა ქალაქები გადალახეს, ბრძოლებით წაიწიეს წინ 20-მდე კილომეტრით და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. გაყლეტილია 700-მდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ დაგლ, წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ **იელგავის (მიტავის)** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობენ, საბჭოთა ნაწილებმა სწრაფად წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი **ტუსუმი.** დაკავებულმა ბრძოლებმა 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 2 ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 4 ტანკი, 5 ჯავშანტრანსპორტიორი, 20 ქვემეხი და 40 ავტომანქანა. ხელთ ვიგდეთ 15 ქვემეხი, 60 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე საწყობი საომარ მასალიანად. წამოყვანილია 200-ზე მეტი ტყვე. იელგავის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გზადაგზე დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **დობელე.** განადგურებულია მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და არტილერიის 2 ეშელონი, რომლებიც აქ სადგურს უახლოვდებოდნენ. საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ზომრავი შემადგენლობა, ქვემეხები და სხვა საბრძოლელი.

* * *

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. მტერი წინასწარ მოემზადა ქალაქ **კაუნასის** — აღმოსავლეთ პრუსიაში მიმავალი გზების დამფარავი ციხე-სიმაგრის ხანგრძლივი დაცვისათვის. ქალაქის მისადგომებზე გათხრილი იყო სანგრები და ღრმა ტანკსაწინააღმდეგო ორმოები. გერმანელებმა თავდაცვისათვის გამოიყენეს აგრეთვე ძველი ციხე-სიმაგრის ფორტები. მდინარე ნემანი და მდინარე ვილია, რომელიც მას ერთვის კაუნასის რაიონში, მეტად ამწელებდნენ საბჭოთა ჯარების მოქმედებას. ჩვენი ნაწილები, რომელნიც ნემანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე პლაცდარმიდან ოტეენენ, შეიპრნენ ქალაქის სამხრეთ ნაწილში და გასწმინდეს იგი ჰიტლერელებისაგან. გააფთრებული ბრძოლები მოხდა მდინარე ნემანსა და ვილიას შუა, სადაც მდებარეობს ქალაქის ცენტრალური ნაწილი. გერმანელები ძლიერ საარტილერიო-სატყვიამფრქვევო ცეცხლს გვიშენდნენ და განუწყვეტელივ გადმოდიოდნენ კონტრიერიშებზე. საბჭოთა მებრძოლები ანადგურებდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას, მტკიცედ მიიწევდნენ წინ, დევნიდნენ ჰიტლერელებს სახლებიდან, სარდაფებიდან და ძელმაწური საცეცხლე წერტილებიდან. ბრძოლა მთელ ღამეს გრძელდებოდა. დღეს დილით საბჭოთა ჯარებმა იერიშით დაიკავეს ქალაქი **კაუნასი (კოვნო).** წინასწარი ცნობებით, კაუნასისათვის ბრძოლებში მოსპობილია 8 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 36 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 76 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 47 ნაღმსატყორცნი, 200 ტყვიამფრქვევი, 140 ავტომანქანა და 20 ჯავშანტრანსპორტიორი. გერმანელებს წაართვეთ 17 ტანკი, 63 ქვემეხი, 56 ნაღმსატყორცნი, 244 ტყვიამფრქვევი და 26 საწყობი საჯურნელით, საომარი მასალით, სურსათითა და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად. ტყვედ წამოყვანილია 1,200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ **სედლეცის** დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგობას და ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს გზატკეცილების კვანძი ქალაქი **კალუშინი** და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. **კალუშინისათვის** ბრძოლებში გაყლეტილია 900-მდე ჰიტლერელი.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის ერთ-ერთი აეროდრომი. დაბომბვისა და იერიშის მიტანის შედეგად, აეროდრომზე გაჩნდა ხანძრები და მოხდა რამდენიმე აფეთქება. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით დამსხვრეული და დაზიანებულია მოწინააღმდეგის თვითმფრინავთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. აეროდრომის თავზე საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 5 თვითმფრინავი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ფინეთის ყურეში ჩასხირა მოწინააღმდეგის ერთი სგუშაგო ხომალდი და 2 საგუშაგო კატერი.

კაპიტან ბ. ს. რაზმაძეს და უმცროს სერჟანტ ს. ბ. ჩიხლაძეს
საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭათ და გადაეცათ **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“** კაპიტან **გალაქტიონ სამსონის-ძე რაზმაძეს** და უმცროს სერჟანტ **სერგო გედეონის-ძე ჩიხლაძეს.**

პოლკოვნიკ ე. ზ. ბაგანაშვილის დაჯილდოება

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **კუტუზოვის II ხარისხის** ორდენით დაჯილდოებულია პოლკოვნიკი **ესტატე ზაქარიას-ძე ტატანაშვილი.**

ქრონიკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი დანიშნა თავის წარმომადგენლად პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტთან.

* * *

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა ვინცენტ რეიმოვსკი დანიშნა თავის წარმომადგენლად სსრ კავშირის მთავრობასთან.

ი. ა. კირეოვის გაჩდაცვაღების ასი წლისთავისათვის

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დააარსა სრულიად-საკავშირო კომიტეტი დიდი რუსი პოეტის—იგავთმწერალ ივანე ანდრიას-ძე კრილოვის გარდაცვალების ასი წლისთავის აღსანიშნავად.

კომიტეტის შემადგენლობაში არის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების 35 მოღვაწე: ა. ნ. ტოლსტოი (თავმჯდომარე), ნ. პ. ბაჟანი, პ. ბ. ბაჟოვი, ა. ა. ბაილოვი, ი. ბარბარუსი (ვარესი), დ. დ. ბლაგოი, ი. გ. ბოლშაკოვი, ა. მ. ეგოლინი, დ. ა. ზასლავსკი, ი. ვ. ილინსკი, მ. ვ. ისაკოვსკი, ვ. ი. კაჩალოვი, ლეო ქიაჩელი, იაკუბ კოლასი, ვ. ი. ლებედევ-კუმაჩი, ი. ი. მეშჩანინოვი, ს. ვ. მიხალკოვი, ნ. ა. მიხალოვი, ა. მ. მოსკვინი, ს. პ. ობნორსკი, ი. პალეცკისი, ნ. ფ. პოგოდინი, დ. ა. პოლიკარპოვი, ვ. პ. პოტიომკინი, ა. ა. პროკოფიევი, ა. ა. პუშინი, ი. ა. პირიევი, მ. ფ. რილსკი, ა. ა. სურკოვი, ნ. ს. ტიხონოვი, მ. ბ. ხრაპჩენკო, დ. ა. შმარინოვი, ლ. ვ. შჩერბა, ი. გ. ერენბურგი, ა. ა. იაბლონსკი.

კომიტეტს დაევალა შეიმუშაოს ამ თარიღის აღსანიშნავთან დაკავშირებული ღონისძიებანი. გამოცემული იქნება ი. ა. კრილოვის თხზულებათა სრული კრებული. პირველი ტომის გამოსვლა შეფარდებულია ასი წლისთავის დღესთან—1944 წლის 21 ნოემბერთან. 1 ოქტომბრისათვის, გამოშვებულ იქნება კრილოვის ივგ-არაკები მასობრივი ტირაჟით, გადაწყდა მოსკოვში აგებულ იქნას იგავთმწერლის ძეგლი. (საკდესი).

ბალჯიელი მოიერიშე

გვარდიის უფროს ლეიტენანტ ალექსანდრე ციურგენიძის პირად ანგარიშზე ითვლება ჩამორული 16 ხომალდი მტრისა: 5 კატერი 3 სწრაფმავალი სადესანტო კარუბანი, 5 ტრანსპორტი და 3 ტრალერი.

მაგრამ ეს ანგარიში სრული როდია. მისი ამბანაგები ესაუბრნილიანში, რომელსაც გურგენიძე მეთაურობს, და ნ გვარდიის მოიერიშე საავიაციო პოლკის სარდლობაც მტრის გაცილებით მეტ ჩამორულ ხომალდს სთვლიან გვარდიის უფროსი ლეიტენანტის ანგარიშზე.

ციურგენიძეს უსდებოდა მტრის სამეზღვაოების ძებნა ზღვის, ბალტიკის, ფინეთის, ციბორგის ყურეების წყლებში. მას არაერთხელ წუოცვანია საიერიშოდ არა მარტო თავისი ეკადრილია, არამედ საჰაერო ხომალდების მთელი არმადაც.

ფეოდოსიაზე საბჭოთა ჯარების შეტევის წინ შავი ზღვის ფლოტის მოიერიშე ავიაციას დაევალა მოესპო გერმანელთა სატორპედო კატერების ჯგუფი, რომელსაც ბაზად ჰქონდა ფეოდოსიის ნავსადგური და აქნელებდა ჩვენი გემების მოქმედებას. დავალება რთული იყო, ვინაიდან ნავსადგური და მოწინააღმდეგის გემები, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, დაფარული იყვნენ ჰაერიდან ავიაგამანადგურებელთა დიდი ჯგუფებით და საზენიტო ბატარიების მძლავრი ცეცხლით.

გვარდიის უფროს ლეიტენანტს მიჰყავდა „ილიუშინთა“ მეწინავე ჯგუფი და სათავეში ედგა საბჭოთა მოიერიშეების მთელ არმადას. ოპერაცია ასე იყო ნაფიქრალი: თვითმფრინავთა პირველ ჯგუფს უნდა დაერტყა მტრის საზენიტო ბატარიებისათვის, რათა ჩაეხშო მათი ცეცხლი და მოიერიშეთა შემდეგი ჯგუფებისათვის საშუალება მიეცა დაბლა დაშვებულიყვნენ და ყუმბარები სატორპედო კატერებისათვის მოერტყათ.

ციურგენიძემ შორიდან დაინახა, რომ გერმანელთა ბატარიების საცეცხლე პოზიციები განლაგებული იყო ნახევრად მრგვალი ყურის გასწვრივ. მან მტრის საზენიტო ბატარიებისაკენ წაიყვანა თვითმფრინავი, გადაუარა თავისი ეშელონიანი ყველა ბატარიას, დაიყარა ეთ ბომბების ტვირთი და ზარაბაზან-ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა. მოწინააღმდეგის საზენიტო ზარბაზნების გუნდები იძულებული იყვნენ შეეწყვეტათ სროლა, ხოლო ამ დროს ჩვენმა სხვა მოიერიშეებმა დაარტყეს ნავსადგურში ნაყსაბელზე მდგომ სატორპედო კატერებს. როცა ეს „ილიები“ იერიშიდან გადიოდნენ, ციურგენიძემ მეორედ გადაუარა თავზე მტრის საზენიტო ბატარიებს და ამით საშუალება მისცა საბჭოთა თვითმფრინავებს შვიდობიით წასულიყვნენ სამშაბროდან.

უნარიანად შესრულებული მანევრის მეოხებით ფეოდოსიის ნავსადგურში მყოფი გერმანელთა 7 სატორპედო კატერიდან 5 ჩაძირულ იქნა. ჩვენი თვითმფრინავები უდანაკარგოდ დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში.

მეორედ ალექსანდრე ციურგენიძემ წაიყვანა 18 თვითმფრინავი, მან დაავლება მოესპო ორასი მტრის გემთა ქარავანი, რომელიც სევასტოპოლიდან რუმინეთის ნაპირებისაკენ გაიხიზნა. ერთ საათზე მეტ ხანს იარეს მოიერიშეებმა ზღვის ამ რაიონის თავზე, რომელიც ჩვენმა საჰაერო მზვერავებმა მიუთითეს, მაგრამ გერმანელთა გემები ვერ იპოვნეს. დაბალი ღრუბლიანობა ჰფარავდა ზღვის ზედაპირს. ალაგ-ალაგ თვითმფრინავები წვიმის მთლიან ფარდაში გადიოდნენ.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი რადიოთ დაუკავშირდა სარდლობას და ბრძანება მიიღო ბაზაში დაბრუნებულიყო. საგრამ მას არ სწვევია აეროდრომზე დაბრუნება ჩამოკიდებული ბომბებიანად, ყუმბარების სრული მიზანგაიანად და ტყვიამფრქვევის დაუხარჯავი ლენტებიანად. აქვე მან რადიოთი გამოითხოვა ნებართვა უკან გამობრუნებისას შესულიყო კაზანი ბუხტაში, სადაც ამ დროს მტრის გემები იტვირთებოდა. მიუხედავად გერმანელთა უძლიერესი გადამლობი ცეცხლისა, მფრინავებმა მტრის 5 ხომალდი ჩასძირეს ყურეში.

ამას წინათ კარელიის ყელზე შეტევითი ბრძოლების დროს ავიადაზვერვამ ცნობა მოიტანა, რომ ვიბორგის ყურის ტუნტულს არქიპელაგზე აღმოჩენილია ფინეთის 2 ტრანსპორტი და რამდენიმე კატერი. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა მოიერიშეთა სამი ჯგუფი, რომელნიც ტალლისებურად წავიდნენ. ერთი ჯგუფის სათავეში ციურგენიძე იყო.

პირველი ჯგუფი დავალებას კარგ ამინდში ასრულებდა, ამის შემდეგ ამინდი სწრაფად გაუარესდა. როცა ციურგენიძეს თავისი თვითმფრინავი სამზნისაკენ მიმყავდა, მას მეორე ჯგუფი შეხვდა, რომელიც უშედეგოდ ბრუნდებოდა უკან: ცუდი ხილვადობის გამო ამ ჯგუფმა ვერ შესძლო აღმოეჩინა ბატარა ტუნტული, რომელთანაც იდგნენ ფინეთის გემები.

მაგრამ ციურგენიძე უკან რიდი დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, რომ ღრუბლების ქვეშ ნაწყობური სულ 300 მეტრზე იყო წყალს ზეკით და ხილვადობა ნახევარ კილომეტრს არ აღემატებოდა, მან შეუპოვრად წაიყვანა წინ თავისი თვითმფრინავები. გაარღვია ღრუბლები და წვიმის ფარდა და აღმოჩნდა იმ ადგილის თავზე, რომელსაც ეძებდა. საბჭოთა თვითმფრინავებს, რომელნიც დაბალი ღრუბლებიდან ამოძვრნენ, მტერი საზენიტო ქვემეხთა ცეცხლით შეეგება ნაპირიდან და ტყვემეხებიან, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ტუტუნელის მეთაური.

ციურგენიძემ ამოარჩია დიდი ტრანსპორტი და 300 მეტრი სიმაღლიდან პიკირებით დაეშვა მისკენ, გზიადანვე დაუშინა

◇

საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის პარტკაბინეტში. პარტკაბინეტის გამგე ამხ. ზ. ბერიკაშვილი ატარებს კონსულტაციას „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელებთან თემაზე: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მიზეზები“.

ფოტო რ. აკოფოვისა

◇

პარტიული ცხოვრება

აგიტაცია ამრავლებს კოლმეურნეობის ნარმაგებებს

ქუთაისი („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). სოფლის ცენტრში ორსართულიანი შენობა დგას. მისი ეზო ნახევარი ჰექტარიც არ იქნება, მაგრამ იქ სუტ-ტროპიკული ზონის თითქმის ყველა ჯიშია საუკეთესოდ მოვლილ მცენარეს შეხვდებით. ეზოში ყურადღებას იპყრობს საგაზეთო ვიტრინა, სოციალისტური შეჯიბრების დაფა, სამამულო ომის მონაწილეთა სურათების გამოფენა.

შენობის პირველი სართული საკოლმეურნეო კლუბია. პატარა, მაგრამ კოხტად მოწყობილი სცენა, დარბაზში ლოზუნგები და პლაკატები, სამამულო ომის თემაზე ლიტერატურის გამოფენა, საბჭოთა კავშირის გმირების სურათები. აქედანაც სჩანს, რომ სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას სეზონური ყურადღება ექცევა.

საკოლმეურნეო ბრიგადებში 13 აგიტატორი და ამდენივე მესაბერე-წამკითხველი ეწევა პოლიტიკურ აგიტაციას. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი მასწავლებელი ი. კონცელიძე სისტემატურად იწვევს აგიტატორების მეცადინეობას, უკითხავს გაზეთებიდან წერილებს მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების შესახებ, არჩევს აგიტატორთათვის საინტერესო თემებს. ამხ. კონცელიძე ხშირად ესწრება ბრიგადებში საგიტაციო საუბრებს, ინიშნავს საუბრის დადებითსა და უარყოფითს ჩატარებულ აგიტატორთა მეცადინეობის დროს საერთო მსჯელობის საგნად ხდის.

ასეთი დახმარების შედეგად აგიტატორები კარგად უძღვებიან თავიანთ საქმეს. ისინი სამამულო ომის ცალკეულ ეპიზოდებს ორგანულად უკავშირებენ ადგილობრივ საკითხებს და იბრძვიან მაღალი სამეურნეო მაჩვენებლებისათვის.

კვირაა, მაგრამ კოლმეურნეებს დასვენება არც უფიქრნიათ. ან როგორ შეიძლება დასვენებაზე ფიქრი, როცა ჩაი საკრეფია, დილაადრიანად, მუშაობის დაწყებამდე ნაძვის ქვეშ აგიტატორ ჰ. ქათამაძეს გაზეთი გაუშლია და ათვალიერებს. მის ირგვლივ თანდათან გროვდებიან ბრიგადის წევრები.

აგიტატორმა კოლმეურნეებს გააცნო ფრონტის ახალი ამბები, ჩვენი წითელი არმიის ახალი გამარჯვებები, შემდეგ ესაუბრა ზურგის მუშაკთა ამოცანების შესახებ.

— სამშობლო ჩვენგან მოითხოვს მეტ და მაღალხარისხოვან ჩაის პროდუქციას. მთელი ჩვენი შესაძლებლობანი უნდა გამოვიყენოთ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, — ასე დაამთავრა ამხ. ქათამაძემ თავისი საუბარი.

კოლმეურნეებმა ჩაის ბუჩქებს მიაშურეს. გაჩაღდა შრომა. საღამოს, როდესაც შედეგები შეაჯამეს, ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელია აგიტატორი ჰ. ქათამაძე, გამარჯვებული გამოვიდა. ბრიგადამ გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

ნაყოფიერად მუშაობენ სხვა აგიტატორებიც. ისინი კოლმეურნეებს რაზმავენ და აღაფრთოვანებენ სასოფლო-სამეურნეო საშუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. შედეგიც ნათელია. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ ივნისში ჩაის კრეფის გეგმა დიდი ვადაჭარბებით შეასრულა. კიდევ უფრო წარმატებით იმუშაა მან ივლისში.

ბ. თათარიშვილი

ჭარბიულ და სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრება

ქუთაისი („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ლადო მესხიშვილის სახელობის საბელმწიფო თეატრში შესდგა ქალაქ ქუთაისის პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა აქტივის კრება, რომელიც გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. სტურუამ.

აქტივის კრებაზე მოხსენებით — „ქალაქ ქუთაისის საწარმოთა მიერ 1944 წლის იქსი თვის გეგმების შესრულების შედეგები“— გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ნარსია.

— ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებმა — სთქვა მომხსენებელმა, — სამრეწველო პროდუქციის გამოშვება მნიშვნელოვნად გაადიდეს. ნახევარი წლის საწარმოო დავალება შესრულებულია საგრძნობი გადაჭარბებით. ფრონტმა და სამშობლომ მიიღო 4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

განსაკუთრებით დაწინაურდა რიონჰესის კოლექტივი, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა გადამეტებით შეასრულა და ამასთან 37.296 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა. მოწინავეთა რიგებშია მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანაც, რომელმაც გეგმის გადამეტებით 4.685 მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ბაჭრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატმა. მან 20,3 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება და საწარმოო დავალებანი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა. აბრეშუმკომბინატმა პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის საწარმოთა შორის და გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკამ ექვსი თვის საწარმოო დავალება ვადაჭარბებით შეასრულა და ჩვენს ქვეყანას გეგმის გადაჭარბებით 498.900 მანეთის ზნანაწარმი მისცა.

მოწინავეთა გვერდით,—აღნიშნა ამხ. ნარსიამ,—მოიპოვებიან ისეთი საწარმოებიც, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ ასორტიმენტის დაცვისათვის. მთის რიცხვს ეკუთვნიან მაუდის ფაბრიკა, ლიტოპონის ქარხანა, შუშისტარის ქარხანა, ტრიკოტაჟის ფაბრიკა და სხვ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: თევდორაძემ (მაუდის ფაბრიკა), მაჭარაძემ (საკონსერვო ქარხანა), გრძელიძემ (სამრეწველო კომბინატი), თოთიბაძემ (აბრეშუმის კომბინატი), კვატლაიანმა (რიონჰესი), დალაქიშვილმა (ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი), მაღრაძემ (პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობის დარგში), ლომძიძემ (მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო) და სხვ.

აქტივმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს და ამხანაგ ბერიას.

რ. ბეროძე

საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების პლენუმები

ორჯონიკიძის რაიონი

ხარაგოული, („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). 30 ივლისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (სასოფლო) რაიკომის პლენუმი.

რაიონში საგიტაციო-საპროპაგანდისტო მუშაობის დაყენების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონში საგიტაციო მუშაობას ეწევა 406 აგიტატორი, რომლებიც გაერთიანებული არიან 23 აგიტკოლექტივში. კარგად ეუშაობენ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა და პროპაგანდისტთა სემინარები. რაიკომთან შექმნილია მომხსენებელთა ჯგუფი 35 კაცის შემადგენლობით. რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები სისტემატურად ატარებენ კოლმეურნეობებში საწარმო-დაწესებულებებში და რკინიგზის ტრანსპორტზე პოლიტიკურ მოხსენებებს, მიმდინარე მომენტის აქტუალურ საკითხებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირგაბმულობის ორჯონიკიძის რაიონულმა განყოფილებამ დღემდე ვერ უზრუნველყო შორეული სასოფლო საბჭოებისათვის (ბორითის, ხუნევის, ხვეის) ჟურნალ-გაზეთების დროულად მიწოდება. ზოგიერთი აგიტატორი სუსტად მუშაობს თავისი თეორიული დონის ამაღლებისათვის.

ამხ. კიკნაძის მოხსენების გამო გამართულ კამათში სიტყვით გამოვიდნენ ამხანაგები პ. მაღრაძე, გ. მუმლაძე, ე. კიკნაძე და სხვ. სულ 8 კაცი.

რაიონში სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ პლენუმმა მოისმინა რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგის ამხ. დ. ნიკაბაძის მოხსენება. კამათში გამოვიდნენ ვ. ლეჟავა, ვ. ბოგვერაძე, ა. კიკნაძე, შ. ცანავა და სხვ.

მოხსენებულმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობის სამხედრო-თავდაცვითი მომზადების დარგში ჩატარებულ სერიოზულ მუშაობასთან ერთად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს: ცუდად მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოსთან და სასოფლო საბჭოებთან არსებული თავდაცვის მუდმივ მოქმედი კომისიები, მოისუსტებს თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების მუშაობა, კარგად არ არის დაყენებული წვევამდელთა შორის რუსული ენის სწავლება და სხვ.

პლენუმმა მოისმინა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგის ამხ. ე. აბაშიძის მოხსენება—VI პლენუმიდან VII პლენუმამდე პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

განხილული საკითხების გარშემო პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

დ. მაისურაძე

ზემო სვანეთის რაიონი

მესტია („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1. ცამის სამთო-მეტალურგიული კომბინატისა და ენგურჰესმრეწმეურნეობის (სატყეო მრეწველობის) პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ანგარიში და 2. ანვარიში პარტიაში მიღების მდგომარეობის შესახებ 1944 წლის 1 აპრილიდან 10 ივლისამდე.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ ცამის სამთო-მეტალურგიული კომბინატისა და ენგურჰესმრეწმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები — ამხანაგები ი. ხარძიანი და ე. ჭკადუა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ს. ჩხეტიანმა, ს. ჭკადუამ, ი. შენგელიამ, დ. კანდელაკმა და სხვ.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ.(ბ)ზემო სვანეთის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. პ. გარსიანი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ე. ქალდანმა, ნ. უშხვანმა, ბ. ჩხეტიანმა, ს. ხაფთანმა, ეკ. ჭკადუამ, ნ. გუჯეჯიანმა და აკ. ბეგიჩიანმა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ზემო სვანეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ვეკუამ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

პრესის მიმოხილვა

ორი გაზეთი, ორი მაგალითი

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას ამოცანა—სულ უფრო და უფრო გაზარდონ ქვანახშირის ამოღება, მიაღწიონ შემდგომ აღმავლობას. ამ ამოცანის განხორციელებისათვის კარგად მუშაობს გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“ (საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომისა და მწრომელთა დეპუტატების ტყიბულის რაისაბჭოს ორგანო).

„ტყიბულის მაღაროელმა“ დიდი მუშაობა ჩაატარა ქვანახშირის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი მეთოდის — სემიეოლოსური მეთოდის დანერგვისათვის და კარგ შედეგსაც მიაღწია. ეს მეთოდი მტკიცედ დაინერგა ტყიბულის მაღაროების ყველა ცვლაში, ყველა სამუშაო უბანზე.

გაზეთი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ჩვენს მრეწველობაში ამჟამად გამლილი სოციალისტური შეჯიბრების, ახალ ფორმას —პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებას და სისტემატურად ეწევა ამ ფორმის პროპაგანდას. გაზეთმა ტყიბულელ მეშახტეებს ფართოდ გააცნო პროფესიების მიხედვით შეჯიბრების მოწყობის თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის გამოცდილება და უჩვენა, როგორ ითვისებენ მას შახტებში. 15 ივნისის ნომერში მოთავსებულია ტყიბულის წამყვანი შახტის, ლენინის სახელობის შახტის პარტიაბიუროს მდივნის ი. იოსელიანის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ეს იყო მაისის მეორე დეკადის დასასრულს. მეშახტეებმა დაიწყეს ბრძოლა თავიანთ პროფესიებში პირველობის მოპოვებისათვის. ამას მოჰყვა ქვანახშირის ამოღების, მძლავრი აღმავლობა. მაგალითად, მაისის მეორე ნახევარში ამოღებულ იქნა 1.133 ტონით მეტი ქვანახშირი, ვიდრე პირველ ნახევარში, რითაც დაფარულ იქნა დავალიანება და დიდი გადაჭარბებით შესრულდა მაისის გეგმა“.

სისტემატური, დაჟინებითი მუშაობით „ტყიბულის მაღაროელმა“ მიაღწია იმას, რომ პროფესიათა მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ტყიბულის მაღაროების მუშათა უმრავლესობა. შახტებში კიდევ უფრო განმტკიცდა დისციპლინა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა გეგმის შესრულების მაჩვენებლები. ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს ტყიბულის მაღაროებში პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების მასალების შემაჯამებელი ეიურის დასკვნა. ლენინის სახელობის შახტმა ქვანახშირის ამოღების ივნისის გეგმა შეასრულა 126,1 პროცენტით, მისამზადებელი სამთო სამუშაოებისა — 107,4 პროცენტით, ერთი მუშის შრომის ნაყოფიერებამ მიაღწია 132,2 პროცენტს, ხოლო ქვანახშირის ხარისხი გაუჯობესდა 2,2 პროცენტით.

პროფესიების მიხედვით შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს: მნგრეველებში — ნ. კრასნოგოლოვეცმა, მებიჯეებში—ი. ილიუშინმა, მტვირთავებში—ა. წკეპლაძემ, მბურღავებში—ბ. თოდიძემ, მთხრელებში—მ. ავდეევმა და ზეინკლებში—კ. ფუტკარაძემ.

საპატიო დაფაზე შეტანილია 8 კაცი, სიგელები მიეცა 11 კაცს.

„ტყიბულის მაღაროელმა“ სერიოზული ყურადღება მიაქცია შახტებში ქალთა შრომის გამოყენებას. ფრონტზე წასული მამაკაცები ბევრგან შესცვლიან ქალებმა. პირველ ხანებში ეს მათთვის სამძიმო იყო. გაზეთმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ამ ქალებს შეჰყვარებოდათ მაღაროში მუშაობა და დაუფლებოდნენ მეშახტის პროფესიას. ამჟამად ტყიბულელ ქვანახშირის ტრესტის შახტებში მთელ რიგ წამყვან სამუშაოებზე წარმატებით არის გამოყენებული ქალთა შრომა. მოწინავე ქალები გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ფრონტზე წასულ თავის ქმარს სტალინის სახელობის მაღაროს მეორე საექსპლოატაციო უბნის მოწინავე ჰტვირთავმა აბესაძემ ამას წინათ მისწერა:

„...იმედი გქონდეს, რომ ჩვენ, მაღაროელები, კვლავ მოწინავე ვიქნება, შენს მაგივრად მე დავიწყე მუშაობა ქვანახშირის ტვირთვაზე, ქვეყანას მივცემთ კიდევ უფრო მეტსა და მაღალხარისხოვან ქვანახშირს“.

და ამ პატრიოტმა ქალმა სიტყვა საქმედ აქცია. იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ასევე წარმატებით დაეუფლნენ თავიანთ პროფესიებს და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს თამარ ბეროძე, ალექსანდრა დიაკონიძე და სხვ.

ტყიბულელ მეშახტეთა ყოველდღიური მუშაობის სიხარული და მტკივნეული მხარეები გაზეთს ყოველთვის დაუყოვნებლივ გამოჰქონდა თავის ფურცლებზე, რითაც მან დამსახურებული პოპულარობა და ავტორიტეტი დაიმსახურა მკითხველებში.

მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას გაზეთ „ტკვარჩელსკი გორნიაკის“ (საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის ორგანო) შესახებ. გაზეთი კმაყოფილდება მარტოოდენ ოფიციალური მასალების ბეჭდვით და მეტად მკრთალად ეხმაურება წარმოების საკითხებს. მიმდინარე წლის 12 და 22 მარტის, 9 აპრილის, 5 და 7 მაისის, 3 და 22 ივნისის და 3 ივლისის ნომრები მთლიანად ოფიციალურ მასალს აქვს დათმობილი. არც დანარჩენ ნომრებშია ასახული ადგილობრივი ცხოვრება. გაზეთი არავითარ ინიციატივას არ იჩენს. ტყიბულისა და ტყვარჩელის მაღაროების სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისადმი მიძღვნილი კუთხე, მართალია, თითქმის ყველა ნომერშია, მაგრამ მასალები ზერეულა და უინტერესო.

აი ამონაწერი დასახელებულ „კუთხეში“ მოთავსებული ერთ-ერთი წერილიდან:

„ტკვარჩელ ქვანახშირის“ ტრესტის საწარმოთა 24 სტახანოველის ფოტოსურათი შეტანილია საპატიო დაფაზე. წარმოების სახელოვან მუშაკთა ავანგარდში წარმოდგენილია სტალინის სახელობის შახტის გამოცდილი მაღაროელი, პირველი ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ანდრეი ბესარაბი, ამას წინათ დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით. მისი ბრიგადის ამწეშენდები ყოველდღიურად იძლევიან გეგმაზე მეტ ქვანახშირს. გვერდით მოსჩანს ჩვენი შახტის სახელოვანი მბურღავების ორდენოსან პავლე ზვერევიჩის და მედალოსან სერგეი მუშტაფას სურათები“.

წერილს, რომლიდანაც მოგვყავს ეს ამონაწერი, სათაურად აქვს „მათ უნდა იცნობდეს ყველა მეშახტე“.

თუ გაზეთს მარტოოდენ ის აინტერესებდა, რომ ზემოდასახელებული მაღაროელების გვრგნობა გაეცნო მუშებისათვის, ეს მართლაც შეიძლებოდა მათი ფოტოსურათების თვალსაჩინო ადგილზე გამოფენით. მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის. უმჯობესი იყო გაზეთს დასახელებულ წერილში მოეთხრო თავისი მკითხველებისათვის, თუ როგორ მუშაობენ წარჩინებული ადამიანები, რა მეთოდებს, რა ხერხებს იყენებენ, რით დაიმსახურეს ჯილდო ტყვარჩელის მაღაროების ამ მართლაც საამაყო ადამიანებმა—ბესარაბმა, ზვერევიჩმა, მუშტაფამ და სხვ. ამით გაზეთი კარგ სამსახურს გაუწევდა მეშახტეთა ახალ კადრებს.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთ ეფექტიან მეთოდს, როგორიც არის პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრება და რომელსაც ყველგან, სადაც კი მას ფართოდ ნერგავენ, საწარმოო აღმავლობა ეოჰყვა, „ტკვარჩელსკი გორნიაკმა“ სრული დუმილით აუარა გვერდი.

რა ფასი აქვს გაზეთში მოთავსებულ წერილებში სოციალისტურ შეჯიბრებაზე, ლაპარაკს, თუ ამ საქმეში უგულებელყოფილი იქნება ის ახალი, რასაც იძლევა სოციალისტური შეჯიბრება თავისი განვითარების ყველა ახალ საფეხურზე.

ამრიგად, „ტკვარჩელსკი გორნიაკი“ ვერ ასრულებს მასების დამრაზმავ საპატიო როლს და, ცხადია, მასაც ბრალი მიუძღვის იმ ჩამორჩენაში, რომელსაც დღემდე ვერ დაეღწია თავი ტყვარჩელ ქვანახშირის ტრესტმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს გაზეთ „ტკვარჩელსკი გორნიაკის“ მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის.

დროშა და პრემიები საგზაო მშენებლობაში დაწინაურებულებს

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება საგზაო მშენებლობაში დაწინაურებული რაიონებისა, საგზაო-საექსპლოატაციო და საგზაო-სამშენებლო უბნების მუშაკთა კოლექტივების წესახალისებლად გარდამავალი დროშებისა და პრემიების დაწესების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ გამოჰყო რესპუბლიკური ეიური, რომელსაც მინდობილი აქვს გარდამავალი დროშა და პრემია მიაკუთვნოს იმ რაიონს ან იმ საგზაო-საექსპლოატაციო და საგზაო-სამშენებლო უბანს, რომელიც გაიმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოგვცემს მუშაობის უკეთეს მაჩვენებლებს. რესპუბლიკური ეიურის თავმჯდომარეა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ჯაში.

შესდგა რესპუბლიკური ეიურის პირველი სხდომა, რომელმაც შეაჯამა საგზაო მშენებლობაში სოციალისტური შეჯიბრების 1944 წლის პირველი ნახევრის შედეგები.

საგზაო მშენებლობასა, რემონტსა და მოვლა-პატრონობაში მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკურმა ეიურომ გამარჯვებულად სცნო და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და 10.000 მანეთი პრემია მიაკუთვნა: ა) მე-12 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივს (უბნის უფროსი ამხ. ასტვაცატუროვი), რომელმაც საგზაო-სარემონტო სამუშაოთა გეგმა რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე შეასრულა 168,8 პროცენტით;

ბ) ონის რაიონს (რაიონის საგზაო განყოფილების გამგე ამხ. ბაკურაძე), რომელმაც საგზაო-სარემონტო სამუშაოთა 6 თვის გეგმა შეასრულა — ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე—304 პროცენტით, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით —215 პროცენტით და საგზაო მშენებლობისათვის საჭირო ქვის მასალის გამოზიდვის გეგმა —153,8 პროცენტით;

გ) თეთრი წყაროს რაიონს (რაიონის საგზაო განყოფილების გამგე ამხ. მეავანაძე), რომელმაც საგზაო-სარემონტო სამუშაოთა 6 თვის გეგმა შეასრულა ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე 178 პროცენტით, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით — 254 პროცენტით და ქვის მასალის გზებზე გამოზიდვის გეგმა—153,8 პროცენტით.

ეიურომ ამასთანავე აღნიშნა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის (გზათა სოლქო განყოფილების გამგე ამხ. გასიევი), ლანჩხუთის (გამგე ამხ ბაღდავაძე), ახალციხის (გამგე ამხ. ბერიძე), გურჯაანის (გამგე ამხ. იუსუფოვი), თელავის (გამგე ამხ. ჭერაშვილი) და ბორის (გამგე ამხ. გრიქუროვი) რაიონების საგზაო განყოფილებათა და მეორე და მეოთხე საგზაო-საექსპლოატაციო უბნების (უფროსები ამხ. გოგოლაძე და ხითირია) კოლექტივთა კარგი მუშაობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

დეკანოზებისა

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 31 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 31 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარები შეიჭრნენ ქალაქ გრანვილში. გრძელდება მოწინააღმდეგის ჯარების ნაშთების ლიკვიდაცია ავრანშს, გრანვილსა და ბრეალს შუა მდებარე რაიონში. ტესის ჩრდილო-დასავლეთით და პერსის რაიონში სწარმოეს მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტების ლიკვიდაცია. მტრის ნაწილები განდევნილი არიან უშუალოდ ჰავრის სამხრეთით ჰდებარე რაიონიდან. ამავე დროს მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ტორინი-სიურ-ვირის ორივე მხარეზე და კომონის რაიონში, დაიკავეს სენ-ჟერმენ-დეტტო და სენ-მარტენ-დე-ბეზსი.

მოკავშირეთა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის მთელი რიგი ობიექტები.

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს დილით გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

დასავლეთ სექტორში მოკავშირეთა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს გრანვილი. მტერი კვლავ ძლიერ წინააღმდეგობას ეწევა ტესი-სიურ-ვირის ჩრდილო-დასავლეთით. მოკავშირეთა ჯარებმა ზნიშვნელოვნად წაიწიეს წინ ტორინი-სენ-მარტენის სექტორში. მტრის წინააღმდეგობის ცალკეულ კერებს სისტემატურად ვსპობთ.

31 ივლისს ღამით ჩვენი ავიაცია კვლ[illegible] ურტყამდა მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს.

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). [illegible] კავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლ[illegible] სარდლობის შტაბის 1 აგვისტოს საღამო[illegible] მოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარების წინსვლა დასავლ[illegible] სექტორში გრძელდება. ჯავშანსატანკო ნ[illegible] ლებმა, რომლებიც წინ მიიწევენ ავრანშიდ[illegible] ხელთ იგდეს კაშხალი დიუსეის სამხრეთ-[illegible] მოსავლეთით და ვეზინის მახლობლად, [illegible] შინ როდესაც სხვა ნაწილებმა დაიკავეს ბ[illegible] სეი და მიაღწიეს მდინარე სეს ამ რაიონ[illegible]

ბრძოლები სწარმოებს ვილდიეს სამხრეთ[illegible] თუმცა თვითონ ქალაქი ჯერ კიდევ არ [illegible] დაკავებული. ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწ[illegible] ტესის რაიონში და ახლა იმყოფებიან [illegible] მილზე ქალაქიდან.

ერთგვარი წარმატება მიღწეულია აგრეთ[illegible] ტორინი-სიურ-ვირის სამხრეთით. კოლ[illegible] სამხრეთით მდებარე რაიონში მოკავშირ[illegible] ჯარებმა გასწმინდეს ფორე-ლე-ეეეკი, [illegible] ლაზეს მდინარე სულევრი და დაიკავეს [illegible] ბენ-ბოკაჟი.

ცუდი ხელვადობა ზლუდავდა ჰაერში [illegible] ტივობას 31 ივლისის შუაღამიდან 1 აგვ[illegible] ტოს შუადღემდე. ღილის განმავლობ[illegible] თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა ნორ[illegible] დიაში აქვთ, იერიში მიიტანეს მტრის ობ[illegible] ტებზე ჩვენი ჯარების წინსვლის გზებზე.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების ზეობა იუწყება, რომ ფლორენციის სამხრეთ-დასავლეთით გრძელდება მძიმე ბრძოლები მაღლობის ხელში ჩასაგდებად. ინგლისის მე-8 არმიის ნაწილები განაგრძობენ ნელა, მაგრამ მტკიცედ წინსვლას. ფრონტის ძირითად მანძილზე, მათ შორის ამერიკის მე-5 არმიის ფრონტის უბანზე, წინანდებურად მოქმედებენ პატრულები და სწარმოებს ნაარტილ[illegible] რიო სრილა.

ჩრდილოეთ იტალიაში და ბრძოლების [illegible] ნაში მოკავშირეთა ტაქტიკურმა ავიაციამ [illegible] ბომბა მოწინააღმდეგის კომუნიკაციები [illegible] სხვა სამხედრო ობიექტები. იუგოსლავ[illegible] მოკავშირეთა თვითმფრინავებმა დაბომბეს [illegible] წინააღმდეგის მოტოტრანსპორტი და რკ[illegible] გზის ობიექტები.

თურქული გაზეთი სასაცილოდ იგდებს ახალი „ჯოჯღური მობილიზაციის“ გეგმას გერმანიაში

ანკარა, 1 აგვისტო (საკდესი). თურქული გაზეთი „ულუსი“ ირონიულ კომენტარიებს უკეთებს ჰიტლერის მიერ გამოცხადებულ ახალ „ტოტალურ მობილიზაციას“ გერმანიაში. მოწონავე სტატიაში გაზეთი სწერს: „ჰიტლერმა ახალი მობილიზაცია განიზრახა. მაგრამ, იმის გამო, რომ უკვე წინა მობილიზაციების დროს შეაგროვეს ყველა ბაღის ხარიხები და გაიწვიეს 16 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი, ახლა არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი მობილიზაციის საშუალებით თუნდაც რაიმე მინიოს ცერმანიაში და ოკუპირებულ [illegible] ნეებში, რის დამატებითი ზობილიზებაც [illegible] ძლებოდეს ომის საჭიროებისათვის“.

ატაი მობილიზაციის დარგში ახალ ღონ[illegible] ძიებებს უწოდებს იმ „ლიმონის გამოწურ[illegible] რომელიც უკვე გამოწურული იყო ათეულ[illegible] და დასაკნინს: „ეს არის უკანასკნელი მო[illegible] ლიზაცია. დადგა მსოფლიო ომის გადაწყ[illegible] ტი წელი. როგორც ერდი განვითარდეს [illegible] კავშირეთა შეტევა, მისი შეჩერება [illegible] შეიძლება“.

ამერიკის არმიის სამხედრო ვეიროზიდვა

ვაშინგტონი, 31 ივლისი (საკდესი). როგორც ამერიკის არმიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელმა გენერალ-მაიორმა გრესმა განაცხადა, 1941 წლის დეკემბრიდან 1944 წლის ივნისამდე ამერიკის შეერთებული შტატებიდან საზღვარგარეთის 127 ნავსადგურში გადაყვანილია 4 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და გადაზიდულია 63 მილიონი ტონა მასალა. ომში ამერიკის შეერთებული შტატების [illegible] მიერ მომენტიდან ამერიკის არმიამ საომარ[illegible] მოქმედები ევროპის ასპარეზზე გაგზავნა [illegible] მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ხოლო მთ[illegible] წარსული მსოფლიო ომის განმავლობაში—[illegible] 8,9 მილიონი ტონა. გასული წლის მანძილ[illegible] არმიის ტვირთნიდვამ ერთიანობად გადააჭ[illegible] ყოველი წინა წლის ტვირთნიდვას.

პოლონელთა პროგრესული ორგანიზაციების მიმართვა ლონდონში

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). 30 ივლისს ლონდონში პოლონელთა სახლის დარბაზში შესდგა პოლონელთა მიტინგი, რომელიც პოლონელთა პროგრესულმა ელფენა მოიწვია.

სიტყვით გამოსულებმა განაცხადეს თავიანთი უნდობლობა პოლონეთის ემიგრანტული მთავრობისადმი და ხაზგასმით აღნიშნეს აუცილებლობა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისა, რადგან მხოლოდ იგი შეაძლებს უზრუნველყოს პოლონეთის მომავალი. მიტინგზე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„პოლონელთა ემიგრაციას არასოდეს არა ჰქონია ეპვი, რომ პოლონელ ხალხს უფლება აქვს გადაწყვიტოს პოლონეთის მომავლის საკითხი. პოლონელთა ემიგრაცია კანონიერად სცნობს ყოველ მთავრობას,